

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №13/1

ლანჩხუთი

20.11.2018 წელი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

დასკვნა:

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მიჩნეულ იქნა მომზადებულად უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე:

3. B₂

ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №13/2

ლანჩხუთი


20.11.2018 წელი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

დასკვნა:

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიაში, რათა პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდეს ახალი პროექტის წარმოდგენა.

კომისიის თავმჯდომარე:



ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №13

ლანჩხუთი

20.11.2018 წელი
10.30 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ვერიკო კვიციანი.

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.

არ ესწრებოდა: კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშია, მერიის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანი კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

3. სხვადასხვა.

1.დღის წესრიგის პირველ საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ 2019-2020 წლების პრიორიტეტის დოკუმენტში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ✓ განათლება;
- ✓ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესი, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს წესი უფუნქციოა და არ ხდება ბიუჯეტის შემოსავლებში ამ კუთხით შემოსავლის დაფიქსირება. მისი თქმით მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშავოს გადახდის შესაბამისი ფორმულა.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით - თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა“ არასრულყოფილია, ვინაიდან დაფინანსება გამოყოფილია მხოლოდ ბენეფიციარის სატრანსპორტო ხარჯზე, თუმცა რეალობა ის არის რომ ის მარტო ვერ ახერხებს გადაადგილებას და ამ პროგრამით გამოყოფილი თანხა არაა საკმარისი, საჭიროა თანხის გაზრდა. ასევე საჭიროა დაიწყოს მუშაობა მუნიციპალიტეტმა იმ კუთხით, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში იქნას გათვალისწინებული დიალუზის ცენტრის მოსაწყობად საჭირო თანხა, რაც ასეთი საჭიროების მქონე ბენეფიციარებს მომსახურების ადგილზე მიღებას გახდის შესაძლებელს.

ვერიკო კვიციანიამ დაინტერესდა ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების გაცემის წესით, როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების გაცემა მოხდება მიზნობრიობის დაკონკრეტების შესაბამისად, კერძოდ პროგრამის პირობის ფარგლებში დაფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეგისტრაცია/ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების

გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება. ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს და მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 001-ს საშემე მერქნის შესაძენად გაეწევთ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით.

ვერიკო კვიციანი ისაუბრა სოციალური პროგრამების შესახებ, რომ მოსახლეობა არ არის ინფორმირებული და წარმოდგენილი პროგრამებიდან ბევრი აუთვისებელი რჩება, ამიტომ საჭიროა ამ კუთხით მუშაობა. თავმჯდომარემ დააყენა შინ მოვლის პროგრამის არსებობის საჭიროება, კერძოდ, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ისეთ ავადმყოფებზე, რომელთაც აქვთ თავის ტვინის ისეთი ტრამვა, რომლის დროსაც ვითარდება ე.წ. „კომური“ მდგომარეობა, რის შედეგადაც საწოლს არიან მიჯაჭვულები და საჭიროებენ 24 საათიან მოვლა-მეთვალყურეობას. მისი თქმით ასეთი ავადმყოფების მოვლა საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რისთვისაც საჭიროა ადგილობრივ ბიუჯეტში იქნას გათვალისწინებული თანხა, რომ მოხდეს პირველ ეტაპზე თანადაფინანსება მანც.

ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას იყენებს მხოლოდ ის მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 0 - 150001-მდე. ამიტომ მოქალაქეები, რომელთაც არა აქვთ შეფასება სოციალური სამსახურიდან, თუმცა ხშირ შემთხვევაში იმაზე მეტად შეჭირვებულებიც არიან, ვიდრე სოციალურ დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულნი, ვინაიდან ქულის მინიჭება უმეტეს შემთხვევაში არასწორად მიმდინარეობს, ვერ მიიღებენ ამ კონკრეტული პროგრამიდან დახმარებას. ამიტომ აუცილებელია დაწესდეს საგამონაკლისო შემთხვევები, მაგალითად დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სადაც ხაზგასმული იქნება ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა.

სხდომის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებზე, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპორტის განვითარებას, რაც ჯანმრთელობის საწინდარია, თუმცა სპორტის სახეობათა ჩამონათვალი ძალიან მწირია და ასე მიმდინარეობს წლების განმავლობაში, ამიტომ აუცილებელია პირველ ეტაპზე რამდენიმე სახეობის დამატება, რაც ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდასთან არ იქნება დაკავშირებული. მაგალითად დეფიციტია გოგონების სპორტული აღზრდის კუთხით და კომისიას მიაჩნია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არის ტანვარჯიშის სპეციალისტი და სრულებით შესაძლებელია დაემატოს სპორტის ეს წრე წარმოდგენილ სახეობებს, რათა გოგონებმაც შეძლოს აღნიშნული სპორტით დაკავება. რადგან მუნიციპალიტეტის მოვალეობაა იზრუნოს ჯანსაღ მომავალზე.

ვერიკო კვიციანი ისაუბრა, პოლიტიკურ თანამდებობის პირთა სახელფასო განაკვეთის 10%-იან ზრდასთან დაკავშირებით, რადგან საქართველოს კანონი „შრომის ანაზღაურების შესახებ“ კრძალავს პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე სახელფასო დანამატის გაცემას. ასევე აუცილებელი რომ ბიუჯეტის სახელფასო ფონდი დაიგეგმოს 13 (ცამეტი) თვეზე, რადგან თანამშრომელთა წახალისება მათი მაღალპროდუქტიულობის გარანტიაა.

ძალიან მძიმე მდგომარეობაა და აუცილებლად მოსაწესრიგებელია, მუნიციპალიტეტში ტრანსპორტის საკითხი, მოსახლეობას გაუსაძლის პირობებში უწევს გადაადგილება. საფინანსო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ თქვა, რომ ეს საკითხები 2020 წლის ბიუჯეტში იქნება

გათვალისწინებული, თუმცა კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა 2019 წლის ბიუჯეტში ამ საკითხზე მსჯელობას.

ძალიან პრობლემურ საკითხად დგას ისევ მაწანწალა ძაღლების საკითხი მუნიციპალიტეტში, რომელიც რამდენი თვეებია უკვე მწვავედ ისმის არაერთ სამუშაო შეხვედრებსა თუ სხდომებზე, მაგრამ ვერ ხერხდება მისი გადაჭრა. აუცილებელია ამ საკითხზე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და თან დროულად.

სოციალური სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ გაიზარდა მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა, რაც მნიშვნელოვან ზრდას იწვევს ბიუჯეტში. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს მის ბალანსზე რიცხული ქონება, რომელიც გარემონტდება და მოეწყობა შესაბამისად და ასეთი დახმარების მიღების საჭიროების მქონე ბენეფიციარების შესახლება მოხდება გარკვეული ვადით, რაც დაზოგავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

კომისიის წევრების მიერ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მიჩნეულ იქნა მომზადებულად უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-3

წინააღმდეგი – 0

2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს ცენტრალური ბიუჯეტიდან ეძლეოდათ გათანაბრებითი ტრანსფერი, რომლის მიზანი იყო განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრება მათი ეკონომიური პოტენციალის გათვალისწინებით, ხოლო 2019 წლიდან თვითმმართველობების ბიუჯეტში ჩაირიცხება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლის 19% ახალი სისტემით მისაღები შემოსავალი აღარ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს და დამატებით მოტივაციას ქმნის მუნიციპალიტეტისთვის. გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულასთან შედარებით განაწილებული დღგ-ის პროგნოზირება მუნიციპალიტეტისთვის უფრო მარტივია და ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მიერ საშუალოვადიანი და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების გაუმჯობესებას.

კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი კითხვით მიმართა საფინანსო სამსახურის უფროსს, სახელმწიფოს მიერ დღგ-ს სახით მიღებული თანხის გადანაწილებასთან დაკავშირებით, რაზედაც როლანდ ლაშხიამ უპასუხა, რომ განაწილება მოხდება კოეფიციენტების მიხედვით. ასევე დამატებით მიუთითა, რომ 400 000 ლარით მოიმატა უცხოური საწარმოებიდან მიღებულმა ქონების გადასახადმა.

აზრი გამოთქვას: გოდერძი ქურიძე დაინტერესდა სუფსის ტერიტორიაზე განთავსებული ტერმინალი იხდის თუ არა ქონების გადასახადს. როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე

საწარმო ქონების გადასახადიდან განთავისუფლებულია 2021 წლამდე, ხოლო საშემოსავლო გადასახადს იხდის კანონის შესაბამისად.

კაზა ზოლქვაძე დაინტერესდა ჩინური და იტალიური კომპანიებიდან რამდენი ლარის შემოსავალი მიიღო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა, სამსახურის უფროსმა თქვა, რომ მათი ქონების გადასახადიდან შემოსული თანხა შეადგენდა 800 000 ლარს.

კაზა ზოლქვაძე ასევე დაინტერესდა სკოლების ინფრასტრუქტურულად მოწყობას თუ გულისხმობს აღნიშნული დოკუმენტი, რაზეც როლანდ ლაშვიამ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა უკვე დაიწყო ორი სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა მუნიციპალიტეტის პრეროგატივა არაა, მწვავე დგას არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გადახდა იმ ფიზიკური პირების მხრიდან ვისაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ, დამოკიდებულნი არიან მხოლოდ პენსიაზე და არც იმ კონკრეტული მიწიდან იღებენ რაიმე სახის შემოსავალს. მისი თქმით საჭიროა საქართველოს პარლამენტმა გადახედოს საგადასახადო კოდექსს და იმუშაოს ამ საკითხზე შეღავათების დაწესების მიმართულებით.

ოურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნებით და რეკომენდაციებით დაბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიაში, რათა პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდეს ახალი პროექტის წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-3

წინააღმდეგი - 0

ვინაიდან სხვა საკითხები კომისიის წევრების მიერ არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.


კომისიის თავმჯდომარე:

3. 

ვერიკო კვიციანია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.11.2018 წელი
10:30 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვიციანი	11:30	3.2/3
2	კახა ბოლქვაძე	10:25	
3	გოდერძი ქურიძე	10:30	3.1/3
4	კახაბერ ასკურავა	11:15/16:00	3/2/2